GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 66
თარიღი: 18 03 2015 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060172778302115

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 1497

13 / მარტი / 2015 წ.

ააიპ.,, საქართველოს რეფორმების ასოციაცია' GRASS-ის ვიცე დირექტორს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 27 თებერვალს შემოსული №88 თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სამინისტრო, "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ამზადებს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებას. ეროვნული მოხსენება წარმოადგენს საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შემაჯამებელ დოკუმენტს, რომელიც კომპლექსურად აფასებს საქართველოს გარემოს მდგომარეობას შესაბამისი პერიოდისათვის .

ბოლო ეროვნული მოხსენება, რომელიც 2011 წელს დამტკიცდა, აანალიზებს 2007-2009 წლების მდგომარეობას. ამჟამად შემუშავების პროცესშია 2010-2013 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება, რომლის მომზადებაც დასრულდება მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ მსოფლიო ბანკი, სამინისტროს შესაბამისი ექსპერტებისა და საერთაშორისო კონსულტანტების მონაწილეობით ამზადებს ქვეყნის გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტს (Country Environmental Assessment - CEA). დოკუმენტში ასახული იქნება არსებული ეკოლოგიური პრობლემები, გარემოს დეგრადაციისა და ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენების სოციალური და ეკონომიკური დახარჯები.

ასევე გიგზავნით ინფორმაციას 2013-2014 წლებში ქვეყნის მასშტაბით გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ, მათ შორის ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, მზად ვართ ვითანამშრომლოთ და მოგაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

დანართი 5 გვერდი

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი) მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ბენდელიანი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევათა სტატისტიკა

(2013 წელი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2013 წლის განმავლობაში გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 3 128 ფაქტი. მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა – 3 007 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე – 121 ფაქტი.

სამართალდარღვევათა სტრუქტურა

2013 წელს სამართალდარღვევათა სტრუქტურა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევის 647 ფაქტი;
- უკანონო ტყითსარგებლობის 513 ფაქტი;
- სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 377ფაქტი;
- ნადირობის წესების დარღვევის 257 ფაქტი;
- თევზჭერის წესების დარღვევის 292 ფაქტი;
- წიაღისეულის უკანონო მოპოვების 213 ფაქტი;
- ხე-ტყის დამზადების ლიცენზიანტების მიერ ანგარიშგების წესების დარღვევის 196 ფაქტი;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების დარღვევის 401 ფაქტი;
- ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევის 59 ფაქტი;
- სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებების რეგისტრაციის წესების დარღვევის 13 ფაქტი;
- ზღვისა და სხვა წყლის ობიექტების დაბინძურების 13 ფაქტი;
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევის ან უნებართვო საქმიანობის 17 ფაქტი;
- დასუფთავების წესების დარღვევის 10 ფაქტი;
- ხე-ტყის დამზადების სპეციალური და ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიების მოთხოვნების დარღვევის 57 ფაქტი;
- მიწისკანონმდებლობის დარღვევის 24 ფაქტი;
- გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დარღვევის 18 ფაქტი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულებისთვის ხელის შეშლის 12 ფაქტი;
- რეგულირების საფასურის გადახდის მოთხოვნათა შეუსრულებლობის 9 ფაქტი.

ჯარიმა და გარემოზე მიყენებული ზიანი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 1 714 140 ლარი.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 6 658 116 ლარი, მათ შორის:

- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტებზე - 6 318 724 ლარი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე - 339 392 ლარი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევათა სტატისტიკა

(2014 წელი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, 2014 წლის განმავლობაში, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 9 797 ფაქტი გამოვლინდა, მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 9 410 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების – 387 ფაქტი.

სამართალდარღვევათა სტრუქტურა

2014 წლის სამართალდარღვევათა სტრუქტურა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- თევზჭერის წესების დარღვევის 1 182 ფაქტი;
- ნადირობის წესების დარღვევის 792 ფაქტი;
- ტყითსარგებლობის წსების დარღვევის 1 743 ფაქტი;
- ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევის 1 191 ფაქტი;
- სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 966 ფაქტი;
- წიაღის უკანონო მოპოვების 924 ფაქტი;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების დარღვევის 581 ფაქტი;
- ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევის 1 130 ფაქტი;
- წყლის კანონმდებლობის დარღვევის 340 ფაქტი;
- მიწის კანონმდებლობის დარღვევის 175 ფაქტი;
- გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დარღვევის 110 ფაქტი;
- დასუფთავების წესების დარღვევის 427ფაქტი;
- სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებების რეგისტრაციის წესების დარღვევის 39 ფაქტი;

- გემებიდან ზღვის დაბინძურების 14 ფაქტი;
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევის ან უნებართვო საქმიანობის 71 ფაქტი;
- სხვა დარღვევები - 112 ფაქტი.

ჯარიმა და გარემოსთვის მიყენებული ზიანი

2014 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 4 365 030 ლარი.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 397 029 482 ლარი, მათ შორის:

- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტებზე - 362 174 698 ლარი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე - 34 854 784 ლარი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლენილი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევათა სტატისტიკა

2013 წელი

2013 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჭიათურის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 20 ფაქტი. მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 17 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე – 3 ფაქტი, რომლებიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოებს.

სამართალდარღვევათა სტრუქტურა

2013 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტში გამოვლენილი სამართალდარღვევათა სტრუქტურა:

- უკანონო ტყითსარგებლობის 3 ფაქტი;
- ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევის 2 ფაქტი;
- სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის 2 ფაქტი;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების დარღვევის 11 ფაქტი;
- მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის/მიწის გაუვარგისების 2 ფაქტი.

ჯარიმა და გარემოზე მიყენებული ზიანი

2013 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 7 500,00 ლარი.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანმა შეადგინა 2 246 955,63 ლარი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეგამოვლენილი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევათა სტატისტიკა

2014 წელი

2014 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჭიათურის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 81 ფაქტი. მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 78 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე – 3 ფაქტი, რომლებიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოებს.

სამართალდარღვევათა სტრუქტურა

2014 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტში გამოვლენილი სამართალდარღვევათა სტრუქტურა:

- უკანონო ტყითსარგებლობის 3 ფაქტი;
- ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევის 11 ფაქტი;
- სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის 13 ფაქტი;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების დარღვევის 2 ფაქტი;
- წიაღის უკანონო მოპოვების 21 ფაქტი;
- მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის/მიწის გაუვარგისების 3 ფაქტი;
- ნარჩენებით გარემოს დაბინძურების 8 ფაქტი;
- ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევის 2 ფაქტი;
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევის ან უნებართვო საქმიანობის 13 ფაქტი;
- უკანონო ნადირობის 4 ფაქტი;
- მაკონტროლებლის მოთხოვნათა შეუსრულებლობის 1 ფაქტი.

ჯარიმა და გარემოზე მიყენებული ზიანი

2014 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 123 800,0 ლარი.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანმა შეადგინა 355 148 337,5 ლარი.